საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №601
2013 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №951 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №951 ბრძანებით (სსმ ვებგვერდი, 120010000.22.026.016162, 06/12/2012) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის ,,პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,პ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (მათ შორის, ჯარის სახეობის ქვედანაყოფების) დისლოკაციის ადგილებზე, სამხედრო ობიექტებზე/დაწესებულებებში და/ან მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში გზებზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;“.

2. მე-7 მუხლის ,,ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ს) კომპეტენციის ფარგლებში, დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა გადაყვანა, აგრეთვე სამხედრო პოლიციის შესაბამისი დანაყოფების მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას დანაშაულის ადგილებისა და მტკიცებულებების დაცვა;“.

3. მე-7 მუხლს დაემატოს ,,ფ^{1}'', ,,ფ^{2}'' და ,,ფ^{3}'' პუნქტები შემდეგი რედაქციით;

,,ფ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში ჩასატარებელი სპეციალური ღონისძიებების განხორციელება;

ფ^{2}) იარაღისა და საბრძოლო მასალების ესკორტირება საგანგებო მდგომარეობის დროს;

ფ^{3}) მინისტრის ან/და გაერთიანებული შტაბის უფროსის მიერ განსაზღვრული ცალკეული ობიექტების დაცვა.''.

4. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) დაცვის მთავარი სამმართველო;“;

ბ) „თ“ და ,,ი'' ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

5. მე-12 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტს დაემატოს ,,ბ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

http://www.matsne.gov.ge

,,ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ბრალდებულის ან/და ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო-, კინო-, ვიდეო- და აუდიოგადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, შემთხვევის ადგილზე კვალთა ფიქსირება-ამოღება, აგრეთვე ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;'';

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. დაცვის მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) მინისტრისა და მინისტრის მიერ განსაზღვრულ პირთა დაცვისა და პირადი უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის თავდაცვის სისტემის (სამოქალაქო და სამხედრო) თანამდებობის პირთა დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა;

გ) დაცვის და უსაფრთხოების ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად, დასაცავ პირთა გადაადგილების მარშრუტებზე, მონახულების ობიექტებსა და გასამგზავრებელ რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესწავლა;

დ) გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციულ შენობასა და კონტროლირებად ტერიტორიაზე ავტომანქანების, სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების დაშვების რეჟიმის განხორციელება-კონტროლი;

ე) სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის კონტროლირებად ტერიტორიაზე და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე დაცვის ღონისძიებების განხორციელება და საყარაულო წესდების შესრულება;

ვ) გაერთიანებული შტაბის ქვედანაყოფების პირად შემადგენლობაზე გაპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალების სწორი შენახვა და მიღება-გაცემის უზრუნველყოფა.'';

დ) მე-12 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია**